სანოტარო აქტი

საქართველო

*ორი ათას ცამეტი წლის ცამეტ აგვისტოს, მე, საქართველოს ნოტარიუს **თამარ პოლიკაშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ.№81/დარიალის ქ.№9, მომმართა: **შორენა ონიკაურმა;** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.*

*მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **შორენა ონიკაურმა** (დაბ. 19.03.1979წ. აშშ მოქალაქე, პასპ№452468223, გაც.: 07.11.2008წ. აშშ-ს შტატის დეპარტამენტის მიერ, მოქმედების ვადა: 06.11.2018წ. მცხ.: აშშ, ნიუ იორკი, **PO Box 2820, Sag Harbor, NY 11963;** დრ. საცხ. მისამართი: თბილისი, წყნეთის ქ. 2 კორპ. ბინა №23) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მინდობილობის გამცემს და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობის გამცემმა მოიწონა წინამდებარე მინდობილობა, დაადასტურა, რომ იგი ზუსტად ასახავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას*

მინდობილობა

*„მინდობილობის გამცემი" - შორენა ონიკაური (დაბ. 19.03.1979წ. აშშ მოქალაქე, პასპ№452468223, გაც.: 07.11.2008წ. აშშ-ს შტატის დეპარტამენტის მიერ, მოქმედების ვადა: 06.11.2018წ. მცხ.: აშშ, ნიუ იორკი, **PO Box 2820, Sag Harbor, NY 11963;** დრ. საცხ. მისამართი: თბილისი, წყნეთის ქ. 2 კორპ. ბინა №23)*

"მინდობილობის მიმღებს" – ცირა ონიკაურს (დაბ. *03.09.1951წ. პირადი№ 01008020693*), ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

„მინდობილობის გამცემი"-ს სახელით შეიძინოს (იყიდოს, მიიღოს ჩუქებით) ნებისმიერი უძრავი ქონება; ამ მიზნით იყოს „მინდობილობის გამცემი"-ს წარმომადგენელი ნებისმიერ შესაბამის კერძო ან/და სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ასევე სამშენებლო კომპანიებში, საბანკო დაწესებულებებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არეგისტრაციო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, „მინდობილობის გამცემი"-ს სახელით ხელი მოაწეროს უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ წინარე და ძირითად ხელშეკრულებებს, (ასევე ჩუქების ხელშეკრულებას), თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ზ/აღნიშნული ხელშეკრულებების პირობები (თანხა, ვადა და ა.შ), შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები ზ/აღნიშნულ ხელშეკრულებებში, ან/და გააუქმოს ისინი, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი და დაარეგისტრიროს „მინდობილობის გამცემი"-ს სახელით შეძენილი უძრავი ქონება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის არეგისტრაციო სამსახურში „მინდობილობის გამცემის" სახელზე, შემდგომში თავისი შეხედულებისამებრ გააქირაოს (ან/ და გასცეს იჯარით) ზ/აღნიშნული ქონება, დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები, განსაზღვროს პირობები (ვადა, ქირის ოდენობა და ა.შ), შეიტანოს სათანადო ცვლილებები ან/ და დამატებები ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებებში ან/და გააუქმოს ისინი.

- *წარმოადგინოს და დაიცვას „მინდობილობის გამცემი"-ს ინტერესები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მათ შორის ს/ს „თიბისი ბანკში", მართოს და განკარგოს მინდობილობის გამცემის კუთვნილი ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიში, (შეიტანოს და გამოიტანოს ფულადი თანხები, აწარმოოს გადარიცხვები, შეასრულოს ნებისმიერი სახის საბანკო ტრანზაქცია (მათ შორის შეამოწმოს ანგარიშები, მიიღოს ზ/აღნიშნულითან დაკავშირებით ამონაწერები, ცნობები), გახსნას და დახუროს ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიში, ჩართოს დამატებითი მომსახურებები (ინტერნეტ ბანკი, ბანკი კლიენტი), დაამზადებინოს და მიიღოს ნებისმიერი პლასტიკური ბარათი (მათ შორის განმეორებით); მიმართოს განცხადებით ზემოაღნიშნულ ორგანოებს (ან/და დაწესებულებებს), შუამდგომლობით და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს (გამოითხოვოს) ასევე ჩააბაროს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი (ან/და ინფორმაცია), ხელი მოაწეროს ყოველივე ზ/აღნიშნულთან დაკავშირებულ საბუთს (მათ შორის განცხადებებს, შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს) – ყოველივე ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია „მინდობილობის გამცემის" მიერ მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის.*
- *მინდობილობა გაცემულია <u>განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე, შემდგომში მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე, მინდობილი საკუთრების გასხვისების უფლების გარეშე.</u>*
- ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარძალიშენელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ პოლიკაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო სამი გადაეცა „მინდობილობის გამცემს".

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა. სულ 12,00 ლარი.

შორენა ონიკაური

ნოტარიუსი თ.პოლიკაშვილი

Buy VueScan now! www.hamrick.com
Scanned by VueScan - get a free trial at www.hamrick.com

Buy VueScan now! www.hamrick.com

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43376879954213

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130825154

რეგისტრაციის თარიღი

13.08.2013 წ

ნოტარიუსი: თამარ პოლიკაშვილი
მისამართი: თბილისი, ირ.აბაშიძის 81/დარიალის ქ.#9
ტელეფონი: 2222777

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მათ შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Scanned by VueScan - get a free trial at www.hamrick.com